სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

MES 8 21 0000159375

24/02/2021

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პერსონალის სამუშაო დროის აღრიცხვის მიზნით პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს შრომის კოდექსის 24-ე მუხლის მე-11 ნაწილის, „უმაღლესი განათლების შესახებ„ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, „სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმისა და მისი წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 12 თებერვლის #01-15/ნ ბრძანების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. სტუ-ს პერსონალის სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმის წარმოებაზე/შევსებაზე, შენახვაზე და დასაქმებულებისთვის გაცნობაზე პასუხისმგებელ პირებად განისაზღვრონ:

- ადმინისტრაციის პერსონალისთვის - ხათუნა ჩხიკვიშვილი, სტუ-ს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი;
- ფაკულტეტის პერსონალისთვის - შესაბამისი ფაკულტეტის მენეჯერი;
- დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის პერსონალისთვის - შესაბამისი დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დირექტორის მოადგილე, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში დირექტორი.

2. პასუხისმგებელმა პირებმა:

პერსონალის სამუშაო დროის აღრიცხვა განახორციელონ თანდართული ფორმის მიხედვით (დანართი), „სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმისა და მისი წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 12 თებერვლის #01-15/ნ ბრძანებით განსაზღვრული წესის შესაბამისად;

ბ) უზრუნველყონ სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმის წარდგენა ადმინისტრაციის ხელმძღვანელისთვის ყოველთვიურად, არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული თვის 05 რიცხვისა.

3. ბრძანებით გათვალისწინებულ საკითხებზე სტუ-ს პერსონალის ინფორმირება, შესაბამისი კონსულტაციის გაწევა და კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სტუ-ს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსს, ხათუნა ჩხიკვიშვილს.

4. ბრძანება გამოქვეყნდეს სტუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე და განთავსდეს სტუ-ს ადმინისტრაციულ, სასწავლო კორპუსებსა და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი *ერთეულების შენობებში თვალსაჩინო ადგილებზე.*

5. ბრძანება ამოქმედდეს 2021 წლის 01 მარტიდან.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, #64).

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
რექტორი დავით გურგენიძე